განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# შპს „თანამედროვე განათლების აკადემია“

შეფასების თარიღ(ებ)ი 16.07.2020-17.07.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 26. 07.2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | „თანამედროვე განათლების აკადემია“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 204861596 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი | ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზირი N37 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზირი N37 |
| საფოსტო ინდექსი | 0179 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.cea.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | info@cea.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 2 91 35 35; 2 91 35 36 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | დავით მალაზონია |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 593 390 882 |
| ელ-ფოსტა | davit_malazonia@iliauni.edu.ge |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თანამედროვე განათლების აკადემიაში ვიზიტის შესახებ MES 9 20 00358246, 01/05/2020 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 16.07.2020-17.07.2020 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბოტკოველი |
| წევრი (სახელი, გვარი) | პეტრე ბაბილუა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ზ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | | | |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მონაწილეების შესაძლებლობით | | | |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობით დადგენილი წესით | | | |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | | | |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | | | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი 3. ზ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი 3. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი 3. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი | მუხლი 7 / პუნქტი 3. ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | | | |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | | | |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

თანამედროვე განათლების აკადემიის ავტორიზაციის პროცესის შედეგად ხარვეზები არ გამოვლენილა.

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

**რეკომენდაციების მიცემის საჭიროება არ დამდგარა.**

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | თანამედროვე განათლების აკადემიის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლების ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებითა და კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით. თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, მათ შორის პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებით (PBL) ხდება მოსწავლეთა მომზადება, რაც მრავალფეროვანს ხდის სასწავლო პროცესს.<br><br>შპს თანამედროვე განათლების აკადემია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით, I-IV კლასში გადავიდა სასწავლო პროცესის დაგეგმვის „ახალი სკოლის მოდელზე“, იგივე მიდგომაა გათვალისწინებული V-VII კლასებშიც.<br><br>აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, აკადემიამ 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სრულად და სრულყოფილად შეძლო გადასულიყო სწავლების დისტანციურ ფორმატზე. პროცესის წარმატებულობას ადასტურებს დირექციის პროცესზე დაკვირვების, მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა უკუკავშირი.<br><br>აკადემია ინტენსიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ უნივერსიტეტთან, პროფესიულ სასწავლებელსა და განათლების მიამრთულებით მომუშავე სხვადასხვა ცენტრთან (ილიას საელმწიფო უნივერსიტეტი, საპატრიარქოს უნვიერსიტეტი, ევროპის უნივერსიტეტი, პროფესიული სასწავლებელი „სპექტრი“, საერთაშორისო განათლების ცენტრი, TED-ed, Students Rebuild). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მემორანდუმებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულების გარდა, აკადემია მუდმივად აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა მომზადების პროცესში-უზრუნველყოფს მათ საუკეთესო პრაქტიკით, მაგალითად, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიამ მიიღო და დისტანციურ რეჟიმში აქტიური პრაქტიკა გაატარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 82 სტუდენტს.<br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლების პერიოდში, აკადემიამ გადაწყვიტა შეემსუბუქებინა მშობლებისთვის მდგომარეობა და სწავლის გადასახადი შეამცირა 15 პროცენტით, ისე რომ არც თანამშრომლებისთვის შეუმცირებია ხელფასი.<br>ყოველივე ეს მეტყველებს დაწესებულებაში სასწავლო პროგრამების განხორციელების მდგრადობაზე. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | აკადემიის მისიაა მოსწავლეებს უსაფრთხო და მამოტივირებელ, ინკლუზიურ გარემოში ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და ინტერაქტიური მიდგომების გამოყენებით მისცეს თანამედროვე და მომავლის მოთხოვნების შესაბამისი პლურილინგვური განათლება, რომელიც დაეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების უწყვეტ განვითარებაში, წარმატების მიღწევაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | რეკომენდაციები არ გაცემულა |

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 440 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც თანამედროვე აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვებგვერდის გაცნობის და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, ზემოხსენებული მისიის მისაღწევად აკადემია -<br>• ქმნის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო, პოზიტიურ სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს;<br>• ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებას;<br>• ზრუნავს პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე, როგორც აკადემიის ბაზაზე, ისე პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებთან თანამშრომლობით;<br>• სასწავლო პროცესში ნერგავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;<br>• მუდმივად ავითარებს და სრულყოფს სასწავლო რესურსებს;<br>• ხელს უწყობს მშობლის აქტიურ ჩართულობას შვილის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში;<br>• ციფრულ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, სწავლა-სწავლების ინტერაქტიური მიდგომების გამოყენებით უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებაზე.<br>2019-2020 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, შეიქმნა გასული წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე და აკადემიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით. გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:<br>1. შესავალი<br>2. აკადემიის ხედვა და მისია<br>3. სასწავლო პროცესის ორგანიზება და ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები<br>4. მოსწავლეთა რაოდენობა<br>5. სასწავლო წლის კალენდარი<br>6. გაკვეთილების, არასაგაკვეთილო დროის და შესვენებების ხანგრძლივობა<br>7. აკადემიის სასკოლო საათობრივი ბადე<br>8. ეროვნული სასწალო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა<br>9. ეროვნული სასწალო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა<br>10. სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით<br>11. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 12. სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია და დამრიგებლის ასისტენტის ფუნქცია-მოვალეობები<br>13. IX კლასში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი<br>14. ინკლუზიური განათლების კონცეფცია<br>15. სსსმ მოსწავლის შინ სწავლება<br>16. საგნობრივი კათედრების შემადგენლობა და მათი ფუნქციები<br>17. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები<br>სასკოლო სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანაა, შექმნას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. აკადემია ირჩევს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას, რომლის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი.<br>ამ მიზნით:<br>ა) აკადემიის საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, მუშაობს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული საათობრივი ბადის III მოდელით. აღნიშნული მოდელი საშუალებას აძლევს აკადემიას განტვირთოს საათობრივი ბადე რათა, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფასთან ერთად, განხორციელდეს აკადემიის მისიით და სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმით განსაზღვრული მიზნები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და ამოცანები, რომლებიც უკავშირდება პლურილინგვური განათლების მიცემას მოსწავლეებისათვის და მათში წიგნიერების (მათ შორის, რაოდენობრივი) განვითარებას.<br>ბ) სასკოლო სასწავლო გეგმა აკადემიის მისიისა და პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრავს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.<br>გ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესრულებას, გარდა საგაკვეთილო საათებისა, ხელს უწყობს აკადემიაში დამკვიდრებული პროექტული სწავლება, კლუბები და დამატებითი დრო, რომელსაც როგორც დამატებით სერვისს, ისე სთავაზობს აკადემია (აკადემიის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე რჩებიან აკადემიაში და მუშაობენ პროექტებზე, სხვადასხვა აქტივობებსა და საშინაო დავალებებზე. აღნიშნული დროის განმავლობაში მოსწავლეებს საშუალება აქვთ მიმართონ მასწავლებელს საჭირო დახმარების აღმოჩენის მიზნით).<br>დ) აკადემია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით, I-IV კლასში გადავიდა სასწავლო პროცესის დაგეგმვის „ახალი სკოლის მოდელზე“, იგივე მიდგომა გათვალისწინებულია V-VII კლასებშიც.<br>აკადემია ამ მიზნების მისაღწევად იყენებს „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტის ფარგლებში შექმნილი რესურსების ბაზას, კერძოდ, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ გზამკვლევს „კურიკულუმი-პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება“ და „სამიზნე ცნებებს I-IV კლასებისთვის“. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული რესურსების დახმარებით სკოლაში სასწავლო პროცესი მთლიანად ეფუძნება კონსტრუქტივიზმის პრინციპებს. სკოლის მისიის შესრულებას ხელს უწყობს აკადემიაში ენების სწავლების პოლიტიკა. კერძოდ:<br>მოსწავლეები I კლასიდან XII კლასის ჩათვლით სწავლობენ ინგლისურ ენას. საათაობრივი ბადის მესამე მოდელის მიხედვით, მოსწავლეები ინგლისურ ენას სწავლობენ იმაზე მეტი დატვირთვით, ვიდრე ეს ესგ-შია გაწერილი და გადიან B2 დონეზე. ინგლისურ ენას I-X კლასებში ასწავლის როგორც ქართველი მასწავლებელი, ასევე ინგლისურენოვანი პედაგოგი.<br>მოსწავლეები VII კლასიდან აბარებენ კემბრიჯის გამოცდებს აკადემიის ორგანიზებით და იღებენ შესაბამის სერტიფიკატებს.<br>მეორე უცხოურ ენად მოსწავლეებს აკადემია სთავაზობს გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებს, რომლებიდანაც მოსწავლე ირჩევს ერთ უცხოურ ენას და სწავლობს მას მეთორმეტე კლასის ბოლომდე.<br>VII კლასიდან მოსწავლე ირჩევს მესამე უცხოურ ენას (რუსული. გერმანული, ფრანგული ენები) და სწავლობს მას XI ან XII კლასის ბოლომდე. მოსწავლეები გადიან B1 დონეზე. მოსწავლეებს გარკვეული პერიოდულობით ფრანგულ ენას ასწავლის ფრანგულენოვანი მასწავლებელი.<br>გარდა ამისა, აკადემია მოსწავლეებს კლუბური მუშაობის ფორმატით სთავაზობს ორ ინგლისურენოვან საერთაშორისო პროგრამას-Ted (V კლასიდან XII კლასიდან), Students Rebuild (III კლასიდან VI კლასის ჩათვლით). აკადემიის მოსწავლეებისთვის მესამე კლასიდან ასევე შეთავაზებულია ჩინური ენის კლუბი.<br>აკადემია მოსწავლეებს სთავაზობს საზაფხულო ბანაკებს ბრიტანეთსა გერმანიაში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანში სპორტი, აკადემია მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ სახეობებს: ფეხბურთი, კალათბურთი და ტანვარჯიში.<br>I-VI კლასის მოსწავლეები სურვილისა და ინტერესის გათვალისწინებით ირჩევენ 2 უფასო კლუბს. VII-XII კლასის მოსწავლეებს აკადემია სთავაზობს ფასიან კლუბებს. ფასიანი კლუბების არჩევა შეუძლია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებსაც. მოსწავლეები საკუთარი სურვილისა და ინტერესის მიხედვით ირჩევენ ფასიან კლუბებს. კლუბების ჩამონათვალია: IT კლუბი; Students Rebuild; TED – Ed; პროგრამირების ინგლისურენოვანი კლუბი; ჩინური ენისა და კულტურის კლუბი; „ნარჩენების ხელოვნება“; მე-წიგნიერი; ილუსტრატორი; არტ-მედია; კრიტიკული აზროვნების კლუბი; რობოტიკა; ფეხბურთის კლუბი; ცეკვის კლუბი; UCMAS-მენტალური არითმეტიკა; კულინარია; მეცნიერებების კლუბი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• კათედრების წლიური სამუშაო გეგმები;<br>• კათედრებიის წლიური სამუშაო გეგმის შესრულების სემესტრული ანგარიშები;<br>• თემატური გეგმები;<br>• თემატური მატრიცები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიაში სასწავლო პროცესი მოიცავს სამივე საფეხურს და გულისხმობს თორმეტწლიან სწავლებას. სამივე საფეხურისთვის შექმნილია საგნობრივი კათედრები, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვით, სწავლების პროცესის დინამიკაში ხედვით, ცდილობენ ყველა საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების გათვალისწინებას.<br>აკადემიაში სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს ექვსი საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურისა კათედრა; დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა; უცხოური ენების კათედრა; მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა; საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა. კათედრებს აქვთ გაწერილი სამუშაო წლიური გეგმები, რომელთა მიხედვითაც თითოეულ კათედრაზე მიმდინარეობს ერთობლივი მიზნების შემუშავება და შედეგების მონიტორინგი. კათედრები ასევე უზრუნველყოფენ მასწავლებლების ურთიერთდასწრებას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ერთობლივად განიხილავენ და გეგმავენ გაკვეთილებს, პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებას. კათედრის პორტფოლიოებში წარმოდგენილია:<br>1. თემატური გეგმები/თემატური მატრიცები<br>2. კომპლექსური დავალებების ბანკი<br>3. მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები<br>4. შემაჯამებელი სამუშაოების პაკეტი-შემაჯამებლების რაოდენობა, ანალიზი, თავად შემაჯამებლები<br>5. კათედრის სხდომების ოქმები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 6. კათედრების წლიური სამუშაო გეგმები<br>7. კათედრის მუშაობის სემესტრული და წლიური ანგარიშები<br>8. ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია<br>9. გაკვეთილების გეგმები<br><br>ექსპერტების მიერ შემოწმდა მასწავლებლების პორტფოლიოები, რომლებშიც წარმოდგინელი იყო შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები. ანალიზის ფორმები საკმაოდ დეტალურია და მასში წარმოდგენილია დავალების ტიპი, დავალების შეფასების კრიტერიუმები, საგნის სტანდარტის შედეგები, მოსწავლეთა შედეგები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, სტრატეგიები. კათედრის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები კარგად იცნობენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებს, საგნობრივ სტანდარტებს კლასების მიხედვით და გაცნობიერებული აქვთ თითოეული კლასის ბოლოს რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს, როგორ უნდა იმუშაონ, რა სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები უნდა გამოიყენონ სასწავლო მიზნების მისაღწევად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შესაბამისი კლასების სადამრიგებლო პროგრამები;<br>• შესაბამისი კლასების თემატური გეგმები/თემატური<br>• მატრიცები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლე, მისი შესაძლებლობები, არსებული ცოდნა, უნარები და განვითარების პერსპექტივები. მოსწავლეებს აქვთ სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. მაგალითად, მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესს, იზრდება ინტერესი სასწავლო პროცესისადმი და ჩართულობა, მასწავლებელი აკეთებს სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირებას მოსწავლეთა მზაობასა და გამოცდილებასთან, მასწავლებელი სხვადასხვა ხერხებით ეხმარება მათ, დახმარების წილს თანდათან ამცირებს და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებენ საქმისათვის თავის გართმევას და სხვა.<br>მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მასზე დაყრდნობით აგებენ ახალ გამოცდილებას.<br>თითოეული მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით აკადემიის მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან გაკვეთილების შემდეგ.<br>სწავლის სირთული პრევენციისა და დროული მართვის მიზნით, აკადემიის ფსიქოლოგი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი მუდმივად ახდენენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, მათ შორის მასწავლებებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე. თუმცა, სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების კონცეფცია და აკადემია, საჭიროების შემთხვევაში, მიჰყვება კონცეფციაში გაწერილ პრინციპებს.<br>ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესაბამისად, 2020 წლის მარტის დასაწყისში აკადემიამ სასწავლო გეგმაში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და სასწავლო პროცესი დაგეგმა დისტანციური რეჟიმის შესაბამისად. თითოეული მოსწავლის საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებისა და შედეგის უკეთ მიღწევის მიზნით აკადემიამ გადაწყვიტა პირველივე დღიდან დისტანციური სწავლება განხორციელებულიყო როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული ფორმით. მასწავლებლები ონლაინ გაკვეთილებისთვის იყენებდნენ zoom-ის პლატფორმას, ხოლო ასინქრონული სწავლებისთვის-schoolbooks-ს და დახურულ ჯგუფებს ფეისბუქში, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით.<br>დისტანციური სწავლების პერიოდში ონლაინ გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრა შემდეგნაირად:<br>I კლასები-მინიმუმ 15, მაქსიმუმ 35 წთ.<br>II-XII კლასები - მინიმუმ 25 და მაქსიმუმ 40 წუთით.<br>მოსწავლეებს შემდეგ გაკვეთილამდე შესვენებისთვის ჰქონდათ მინიმუმ 20 წთ. მოსწავლეებს დღეში ჰქონდათ 2-დან 4 გაკვეთილამდე. ონლაინ გაკვეთილების ხანგრძლივობის დადგენისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და მშობელთა მოსაზრებები.<br>აღნიშნული პროცესების ეფექტიანად წარმართვის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი აქტივობები, ონლაინ - სწავლების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირობებზე ადაპტირებული საგაკვეთილო ცხრილის შექმნა, გაკვეთილების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი და რეფლექსია (შეიქმნა ონლაინ გაკვეთილზე დაკვირვების სქემა, სწავლა - სწავლების გაუმჯობესების მიზნით მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლის კითხვარების შემუშავება მათი შედეგების ანალიზი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• თემატური გეგმები/თემატური მატრიცები;<br>• სასწავლო პროცესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.<br>შეფასების სისტემაში ჩამოყალიბებულია შეფასების მიზნები და ამოცანები, შეფასების ტიპები, მათი აღწერილობა; შეფასების დონეები, გამოცდის ტიპები, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გაცდენები, გამოცდის ტიპები, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი. შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კომპონენტში. შემაჯამებელ დავალებათა რაოდენობა კლასებისა და საგნების მიხედვით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 1. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.<br>2. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც ახასიათებენ მოსწავლეს, აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელი, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს წერს შემაჯამებელ წერილობით შეფასებას.<br>3. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.<br>4. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.<br>5.თითოეულ კათედრას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები თითოეული აქტივობისთვის. შეფასების კრიტერიუმებს სასწავლო წლის დასაწყისში და ასევე რამდენჯერმე საჭიროების საპასუხოდ მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს. აღსანიშნავია, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განმავითარებელი შეფასების მახასიათებლები, რომლის დაცვის ვალდებულება აქვს ყველა მასწავლებელს.<br>გარდა ზეპირი და წერილობითი კომენტარისა, სკოლაში დამკვიდრებულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სისტემა, იგი გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების (მაგ. პროექტი, პრეზენტაცია, დისკუსია და სხვ) დროს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• კათედრების წლიური სამუშაო გეგმები;<br>• აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;<br>• მასწავლებლების მოკლე წერილობითი შეფასებები;<br>• დამრიგებლის შემაჯამებელი წერილობითი შეფასებები;<br>• მე-5 დან მე-12 კლასის სასკოლო ჟურნალები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის წესი, რომელიც აძლევს მშობელს საშუალებას ფლობდეს ინფორმაციას მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევისა და დაგვიანების შესახებ.<br>აკადემიის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები და მასწავლებლები ზემოთხსენებული დებულების თანახმად ახორციელებენ აკადემიის მშობელთა ინფორმირებას. აკადემიაში სემესტრში ორჯერ იმართება მშობლებთან ინდივიდუალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც თითოეული საგნის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი მშობელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მოსწავლეთა შედეგების შესახებ. მშობელთა ინფორმირებისთვის აკადემიაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი schoolbook. თუ მშობელი ვერ ესწრება კრებას ის ინდივიდუალურად იღებს ინფორმაციას წერილობითი ფორმით. ასევე დამრიგებლებს აქვთ შექმნილი თავიანთი კლასებისათვის სპეციალური დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელებში, რომელთა საშუალებითაც კონტაქტობენ მშობლებთან. აკადემიაში ფუნქციონირებს მშობელთა თვითმმართველი ორგანო - მშობელთა კლუბი. კლუბის მიზანია, აკადემიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მშობელთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა. აკადემიის ყველა კლასი აკადემიის მშობელთა კლუბში ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს თითო წარმომადგენელს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მშობელთა კლუბის დებულება;<br>• მშობელთა კლუბის ოქმები;<br>• მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ოქმები;<br>• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის წესი;<br>• ხელშეკრულება N 19IN0107-4 მომსახურების (კომპიუტერული პროგრამა “SCHOOL BOOK” ისა და მასზე მიბმული ვებ-გვერდის საშუალებით) შესახებ; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყოველი სემესტრის ბოლოს სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახური აჯამებს აკადემიის კათედრების მუშაობის შედეგებს, გამოკვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და სთავაზობს პედაგოგიურ საბჭოს რეკომენდაციებს მომავალი სემესტრის საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით. საკუთარ რეკომენდაციებში სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახური ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, აკადემიის პრიორიტეტებსა და გასული სემესტრის ანალიზის შედეგებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პედსაბჭოს ოქმები;<br>• კათედრების სემესტრული ანგარიშები;<br>• ხარისხის სამსახურის უფროსის სემესტრული ანგარიში. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით, ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და შენობის ტექნიკური პასპორტით დასტურდება, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თანამედროვე განათლების აკადემიის“ ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N37. დაწესებულების ფლობელობაშია 3624,00 კვ. მ-ზე განთავსებული შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 3771.20 კვ.მ. შენობა სამსართულიანია, თუმცა ვიზუალურად გარეთა ფასადით მხოლოდ 2 სართული ჩანს. |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, ჭავჭავაძის 37. |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | 01.14.14.003.018 |
| კვ.მ. | 3771.20 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>• შენობის ტექნიკური პასპორტი;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დასტურდება, აკადემიაში სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად 440 მოსწავლისთვის (ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 2015 წლის, 20 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს N19 გადაწყვეტილებით), გამოყოფილია 25 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 გენერალური დირექტორის კაბინეტი, 1 ფინანსური დირექტორის კაბინეტი, 1 აკადემიის დირექტორისა და 1 ბუღალტრის კაბინეტი, 2 ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი ოთახი, 1 სამასწავლებლო, 1 სპორტული დარბაზი, 2 გასახდელი, 1 სასადილო, 1 სამზარეულო და პროდუქტების მისაღები ოთახი. დაწესებულებაში ასევე ფუნქციონირებს ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები და ფსიქოლოგის კაბინეტი.<br>დაწესებულების ფლობელობაშია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული სხვადასხვა ზომის 440 მერხი და სკამი, მათ შორის 371 ინდივიდუალური მერხი და სკამი განთავსებულია საკლასო ოთახებში. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასევე მასწავლებლის მაგიდებით, კარადებით, თაროებით, სასკოლო დაფებით, ინტერაქციული დაფებით და შესაბამისი თვალსაჩინოებებით.<br>წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებს ქვესტანდარტის მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ნასყიდობის ხელშეკრულებები;<br>• ანგარიშფაქტურები;<br>• აკადემიის ტექნიკური პასპორტი;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიის შენობაში სპორტული აქტივობების ჩასატარებლად გამოყოფილია 225.86 კვ.მ სპორტული დარბაზი, ხოლო შენობის გარე სივრცეში 195 კვ.მ სპორტული მოედანი. სპორტულ დარბაზში დამონტაჟებულია სავენტილაციო სიტემა, რაც უზრუნველყოფს გარე სივრციდან ჰაერის შემოტანას გაზრდილი კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით.<br>აკადემიას არჩეული აქვს სპორტის 3 სახეობა: ფეხბურთი, კალათბურთი და ტანვარჯიში, ხოლო დაწყებითი საფეხურისთვის ფიზიკური აღზრდა. შესაბამისად სპორტული დარბაზი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით: 12 ფეხბურთის ბურთი, 4 ფრენბურთის ბურთი, 4 კალათბურთის ბურთი, 6 ტანვარჯიშის ლეიბი, 1 ბაგირი, 1 კრივის მსხალი, 2 აზიდვის ღერძი, 2 შვედური კედელი, 1 ფრენბურთის ბადე, 20 ტანვარჯიშის რგოლი, 1 ჩოგბურთის მაგიდა და სხვა.<br>სპორტული მოედანი აღჭურვილია 2 საკალათბურთო ფარით და ორი ფეხბურთის კარით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • აკადემიის ტექნიკური პასპორტი;<br>• სპორტის სახეობების შესაბამისი ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიაში 2 ოთახი გამოყოფილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისათვის. 1 ოთახი ეთმობა ფიზიკის ლაბორატორიას, ხოლო მე-2 ოთახი ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიისათვის არის განკუთვნილი.<br>ორივე ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი საექსპერიმენტო ხელსაწყოებით და თვალსაჩინოებებით. ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში განთავსებულია სამუშაო გამწოვი კარადა, 3 სამუშაო მაგიდა ონკანით. კაბინეტს აქვს დიდი ფანჯრები, რაც უზრუნველყოფს მის სრულყოფილ განიავებას.<br>აკადემიის ICT ლაბორატორიაში განთავსებულია 18 კომპიუტერი მოსწავლეებისათვის და 1 მასწავლებლისათვის. კაბინეტი აღჭურვილია თანამედროვე ქსელური მოწყობილობებით.<br>ლაბორატორიები სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ნასყიდობის ხელშეკრულებები;<br>• საგადახდო დავალების დოკუმენტები;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• სასაქონლო ზედნადებები და საგადახდო დავალების დოკუმენტები;<br>• კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| **2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები** | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | როგორც ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ აკადემიაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. აკადემია სს თელასის მომხმარებელია და აქვს ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (3900 ვატი გენერატორი). ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. ბუნებრივი განათება და სარკმელი არ აქვს მხოლოდ ოთხ ოთახს (ბიბლიოთეკა, საკონფერენციო, განაყოფებისთვის დამხმარე ოთახი და სპორტული დარბაზი), რომლებიც უზრუნველყოფილია სავენტილაციო და გამწოვი სიტემით. აკადემიის სამივე სართულზე არის სველი წერტილები (მეორე სართულზე ორ-ორი, პირველ სართულზე ორი, ნულოვან სართულზე ოთხი სველი წერთილი) ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის.<br>დაწესებულებას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, რომლის საქვაბე განთავსებულია შენობის ბოლოს მოსწავლეებისაგან იზოლირებულად. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაცულია ყველა ტექნიკური სახის მოთხოვნა: საქვაბე ძირითადი შენობისაგან გამიჯნულია საკმაოდ სქელი კედლით, ყველა შემაერთებელი მილი ახალია, ოთახში მუდმივად ხდება ვენტილაცია.<br><br>აკადემია არის სს სილქნეტის, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის, შპს თბილისი ენერჯის და სს თელასის მომხმარებელი, რაც დასტურდება გადახდის ქვითრებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ელექტრო ენერგიის, გაზისა და წყლის დანახარჯთა გადახდის ქვითრები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური ინვენტარით: მაგიდები, კარადები, თაროები, კომპიუტერები, ჭკვიანი დაფა. მასში განთავსებულია 2629 მხატრული და შემეცნებითი ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის ყველა კლასის საგნის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. წიგნები დალაგებულია თემატურად თაროებზე და დამუშავებულია ასოციაციის დოკუმენტების შეკრებისა და სისტემატიზაციის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის წესით.<br>შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკის შესასვლელში გამოკრულია წიგნებით სარგებლობის წესი და მუშაობის საათები.<br>ბიბლიოთეკართან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მის ფუნქციაა არა მხოლოდ წიგნებით მომსახურება, არამედ ლიტერატურული საღამოების მოწყობა და საინტერესო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზება. აკადემიის ვებგვერდზე წარმოდგენილია შესაბამისი ფოტომასალა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბიბლიოთეკის დებულება;<br>• ჩუქების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• საგადასახადო ანგარიშფაქტურები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები;<br>• ბიბლიოთეკართან ჩატარებული გასაუბრების შედეგები;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიას არსებობის მანძილზე არ ჰყოლია სსსმ მოსწავლე. დირექციის წევრებთან გასაუბრების და ვიზუალური დათვალიერების შედეგად ირკვევა, რომ შესაბამისი საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს მოსწავლის კლასის განთავსებას ნულოვან სართულზე, სადაც მდებარეობს სასწავლო ლაბორატორიები, კაფეტერია, სპორტული დარბაზი და სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. ნულოვან სართულზე მოხვედრა შესაძლებელია აკადემიის ეზოს ტერიტორიიდან საევაკუაციო კარის გამოყენებით. აკადემიის ტერიტორიაზე შემოსვლის, გასვლის და გადაადგილების პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია აკადემიის დაცვის სამსახურის უფროსი და კლასის დამრიგებელი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობაში შესასვლელში 3 საფეხურიანი კიბისთვის და პირველი სართულიდან მესამე სართულამდე ასასვლელ კიბეებზე გადასაადგილებლად აკადემიას შეძენილი აქვს მოძრავი (ასაკეცი) პანდუსები. აკადემიის ნულოვან სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აკადემია აღჭურვილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით და სასკოლო მიზნების განსახორციელებლად გამოიყენება ინტერნეტში ჩართული 29 პერსონალური კომპიუტერი და 23 ნოუთბუქი, 5 სმარტბორდი, 2 პროექტორი, 4 პრინტერი, 4 ცალი უნივერსალი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი) და 16 პლაზმური ტელევიზორი.<br>აკადემიის ვებგვერდი www.cea.ge და სოციალური ქსელი https://www.facebook.com/cea.edu.ge/ ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია აკადემიის პერსონალის, თვითმმართველობის ორგანოების, აკადემიური პროგრამების, სიახლეების შესახებ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• საგადასახადო დავალების დოკუმენტები;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომლის მე-9<br>მუხლით „საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები“ განსაზღვრულია უსაფრთხოების რეკომენდაციები და მექანიზმები ხანძრისა და ბუნებრივი კატაკლიზმების დროს. კერძოდ პირველივე საგანგაშო ინფორმაციის მიღებისთანავე 112-ის გამოძახების პარალელურად დაირეკება განგაშის უწყვეტი ზარი, გამოირთვება ელგაყვანილობა და წყალი, ამასთანავე წინასწარ განსაზღვრული ევაკუაციის გეგმის მიხედვით უმოკლეს დროში დაიცლება აკადემიის შენობა. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმაც, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს, ასევე მართვის პროცესის განხორციელებას საობიექტო დონეზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენობის სამივე სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, რომლებიც განთავსებულია სპეციალურ დაცულ ყუთებში. ყველა ცეცხლმაქრი დატენილია და აქვს მითითებული ვადა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ნასყიდობის ხელშეკრულებები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შენობის ევაკუაციის გეგმები, რომლებიც შექმნილი, დამტკიცებული და შენობაში განთავსებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. დერეფნებში დამონტაჟებულია საევაკუაციო გასასვლელების მანათობელი მაჩვენებელი (EXIT). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ევაკუაციის გეგმები;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიას ჰყავს ექიმი (პედიატრი), რომელიც პერიოდულად ახორციელებს მედიკამენტების ხარჯვისა და გამოყენების ვადების დაცვის მონიტორინგს და სანიტარულ-ჰიგიენურ მონიტორინგს, როგორც სასწავლო სივრცეში, ასევე კვების ბლოკში. ექიმი აწარმოებს ასევე ჟურნალებს: ექიმის მიერ გაწეული პირველადი დახმარებისა და გაცემული მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალი; მოსწავლეთა პირადი სამედიცინო ისტორიის წარმოების ჟურნალი კლასების მიხედვით; ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიღების ჟურნალი და ა.შ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აკადემიის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია ფიქსირებადი საწოლით, ონკანით, წნევისა და სიცხის საზომებით, წამლებითა და პირველადი დახმარების საშუალებებით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია პირველადი დახმარების აღმოჩენის წესების ფოტოები და წითელი ციფრებით სასწრაფო დახმარების ნომრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სამედიცინო ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია;<br>• პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საშვალებების დოკუმენტაციით;<br>• ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულებით;<br>• აკადემიის ექიმის მიერ გაწეული პირველადი სამედიცინო დახმარების აღრიცხვის ჟურნალი და გაცემული მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• დანიშნული მედიკამენტების გაცემის ჟურნალი;<br>• მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ პირადი დოკუმენტაცია. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიაში წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილია დოკუმენტში „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.<br>დოკუმენტით განსაზღვრულია: უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები; ინფორმირებულობის უზრუნველყოფა; მოსწავლეთათვის, მათი უფლებებისა და წესების გაცნობა; ფსიქოლოგიური დახმარების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიღება; აკადემიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები და სხვა.<br>ამავე დოკუმენტის მე-6 მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები და აკადემიის ვალდებულებები. კერძოდ:<br>1. აკადემია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია:<br>ა. ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ;<br>ბ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ;<br>გ. ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;<br>დ. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.<br>2. აკადემია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:<br>• მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;<br>• შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;<br>• ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;<br>• ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;<br>• ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;<br>• ჯანსაღი ცხოვრების წესი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.<br>როგორც დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, ისინი ხშირად ახორციელებენ ზემოხსენებულ ღონისძიებებს და ხშირად იწვევენ სხვა საინტერესო ადამიანებს ამ თემებზე სასაუბროდ.<br><br>დისციპლინარული გადაცდომები აკადემიაში შინაგანაწესის თანახმად რეგულირდება.<br>• აკადემიის შემოსასვლელს აკონტროლებს დაცვის სამსახური<br>• საგაკვეთილო პროცესში წესრიგს აკონტროლებს კლასის მასწავლებელი;<br>• მოსწავლეების დაგვიანებისა და სკოლაში არ გამოცხადების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ მშობლებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით;<br>• შესვენების დროს მოსწავლეებს აკონტროლებენ დაცვის სამსახურის თანამშრომლები და დირექცია.<br>შექმნილია დისციპლინარული კომიტეტი, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში აკადემიის ადმინისტრაცია მოქმედებს შინაგანაწესში გაწერილი მუხლების შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • აკადემიის შინაგანაწესი;<br>• დოკუმენტი „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები“<br>• დირექციასთან გასაუბრების შედეგები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიის გარე და შიდა პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. შენობის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 32 და გარე პერიმეტრზე 11 ვიდეომეთვალყურეობის კამერა. შიდა კამერებით კონტროლდება შესასვლელი, ყველა დერეფანი და კიბის უჯრედები. დამონტაჟებული კამერების ტექნიკური მახასიათებლები სრულად აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შესყიდვის დოკუმენტაციით;<br>• ვიზუალური დათვალიერების შედეგებით;<br>• დაცვის სამსახურის უფროსთან გასაუბრების შედეგებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „თანამედროვე განათლების აკადემია“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ დამოუკიდებულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ”, სხვა ნორმატიული აქტებით, აკადემიის წესდებითა და დებულებით.<br>საზოგადოება ხელმძღვანელობს წესდებით, რომელიც შემუშავდა 1996 წელს, ხოლო პარტნიორთა კრების 2015 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით (ოქმი N27) დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია. ახალი რედაქციის საფუძველი გახდა პარტნიორთა ერთობლივი გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის სახელის შეცვლისა და საქმიანობის სფეროს განსაზღვრასთან დაკავშირებით. წესდების ახალი რედაქციის თანახმად საზოგადოების საქმიანობის სფეროდ განისაზღვრა საგანმანათლებლო საქმიანობა, სახელი შპს „ელიტა“ შეიცვალა ახალი სახელით და დღევანდელი მონაცემებით მას ეწოდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თანამედროვე განათლების აკადემია“ (ინგლისურად Limited Liability “Contemporary Edukation Academy”).<br>სხვა საკითხებთან ერთად წესდებით განსაზღვრულია საზოგადოების იურიდიული სტატუსი, ძირითადი საქმიანობა, საზოგადოების პარტნიორთა კრების, გენერალური დირექტორის, აკადემიის დირექტორის უფლებები და ვალდებულებები.<br>თანამედროვე განათლების აკადემიის დებულებით განსაზღვრულია თანამედროვე განათლების აკადემიის სტატუსი, აკადემიის მისია, აკადემიის სტრუქტურა რომელიც მოიცავს: პარტნიორთა კრებას, დირექტორთა საბჭოს, აკადემიის დირექციას, ადმინისტრაციის სამსახურს, სასწავლო პროცესის |

| | |
|---|---|
| | ხარისხის მართვის სამსახურს, პედაგოგიურ საბჭოს დისციპლინურ კომიტეტს, მოსწავლეთა პარლამენტს და მშობელთა კლუბს. განსაზღვრულია ასევე: სასწავლო პროცესის მიმართულებით არსებული სამსახურის სტრუქტურა და მართვის პრინციპები; ადმინისტრაციის სამსახურის სტრუქტურა და მართვის პრინციპები; აკადემიის თვითმმართველი ერთეულები; აკადემიის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება, საბუღალტრო აღრიცხვა და საქმიანობის კონტროლი; დებულებითაა განსაზღვრული ასევე ზემოხსენებული სტრუქტურული ერთეულების უფლებები და მოვალეობები.<br>აკადემიას შემუშავებული აქვს ასევე შინაგანაწესი, რომელიც ვრცელდება აკადემიის თანამშრომლებზე, მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე აკადემიის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ზოგადი დებულებები; სამუშაო, სასწავლო/სასკოლო/სააღმზრდელო და დასვენების დრო; სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მონიტორინგი; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება; წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები; აკადემიაში ჩარიცხვის და აკადემიიდან გადაყვანის პირობები; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვა;<br>შინაგანაწესი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ვიზიტის პერიოდში აკადემიამ წარმოადგინა ასევე გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები, რომლებიც უფლებამოსილი პირის, დირექტორის ბრძანებით არის დამტკიცებული:<br>• შინაგანაწესი;<br>• თანამშრომელთა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი;<br>• დისციპლინური კომიტეტის დებულება;<br>• მოსწავლეთა პარლამენტის დებულება;<br>• მშობელთა კლუბის დებულება;<br>• საგნობრივი კათედრების დებულება;<br>• პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა შეფასების ჯგუფის დებულება;<br>• საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;<br>• ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;<br>• საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;<br>• საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ;<br>• სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;<br>• მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობელის ინფორმირებისა და სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის წესი;<br>• სასკოლო საფეხურის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ აკადემია საქმიანობს წესების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის" წესდება;<br>• შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის" დებულება";<br>• აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიამ წარმოადგინა როგორც გრძელვადიანი (2015-2020), ასევე ერთწლიანი (2019-2020) სამოქმედო გეგმები, რომლებიც შემუშავებულია აკადემიის პრიორიტეტებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.<br>განვითარების გრძელვადიანი გეგმა 2015-2020 წარმოადგენს აკადემიის ექვსწლიან სამოქმედო განაცხადს, რომლის გათვალისწინებითაც, ანალიზის საფუძველზე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნებოდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ექსპერტების მიერ დოკუმენტების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახული იყო მოკლევადიანი მიზნების მისაღწევი აქტივობები, შინაარსი, შესრულების დრო, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და შესრულების ინდიკატორები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | როგორც გასული წლების გეგმები, ასევე 2019-2020 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც მოიცავდა მოსწავლეთა მიღწევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების დახვეწას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას. კერძოდ: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ვირტუალური ლაბორატორიების შეძენა; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება და ინფრასტრუქტურის განვითარება, პროექტორებისა და ინტერაქტიული დაფების მონტაჟი; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონული რესურსებით აღჭურვა; აკადემიის ეზოს კეთილმოწყობა და სარეკრეაციო ზონების მოწყობა. ჩამოთვლილთაგან უმეტესი მიზანი მიღწეულია.<br>როგორც დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გაირკვა, მიმდინარეობს მუშაობა ახალი ექვსწლიანი განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს გასული წლების შედეგების ანალიზს აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულის და ზოგადად, მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. იგეგმება კვლევების, გამოკითხვების ჩატარება, იქმნება შესაბამისი კითხვარების ფორმები, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის მოთხოვნების გათვალისწინებას მომავალი 6 წლის მანძილზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ გრძელვადიანი (ექვს წლიანი) სამოქმედო გეგმა;<br>• 2019-2020 სასწავლო წლის ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• პარტნიორთა კრების ოქმი;<br>• გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რაც არეგულირებს აკადემიაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას. შექმნილია: შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი; გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი; შიდა მიმოწერის აღრიცხვის ჟურნალი; მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალი;<br>ჟურნალები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>• შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• შიდა მიმოწერის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გასაუბრების შედეგები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |
|---|---|

### 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საშტატო განრიგით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ აკადემიაში დასაქმებულია 84 თანამშრომელი. მათ შორის: გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, კომერციული დირექტორი, აკადემიის დირექტორი, ბუღალტერი, ადმინისტრაციის უფროსი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, 45 მასწავლებელი (პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა აკადემიის დირექტორი და ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი), 16 მასწავლებლის ასისტენტი, ფსიქოლოგი და ბიბლიოთეკარი, 17 ადმინისტრაციის თანამშრომელი (იურისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, IT სპეციალისტი, საქმეთა მმართველი, ტექნიკური მენეჯერი, ექიმი, დაცვის სამსახურის უფროსი, სამი დაცვის სამსახურის თანამშრომელი, ექვსი დამლაგებელი და მეეზოვე).<br>დღეის მდგომარეობით აკადემიაში ირიცხება 294 მოსწავლე, შესაბამისად წარმოდგენილი ადამიანური რესურსი სრულად უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს თანამედროვე განათლების აკადემიის“ დებულება;<br>• „საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბერის ბრძანება N30;<br>• შრომითი ხელშეკრულებები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დასაქმებულთა პირადი საქმეები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 45 |
| მოწვეული/მაძიებელი | 7 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 6 |
| უფროსი მასწავლებლი | 28 |
| წამყვანი მასწავლებლი | 2 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პედაგოგის შერჩევის დროს აკადემია ითვალისწინებს განათლების ხარისხს, პედაგოგიურ გამოცდილებას, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. აკადემიაში მიღებული პირი ეცნობა აკადემიის შინაგანაწესს და შემდეგ ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები;<br>• საკონკურსო კომისიის ოქმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები აკადემიაში რეგულირდება შინაგანაწესით - თავი IV. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; თავი VI. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება. დოკუმენტის თანახმად სამსახურში თანამშრომლის მიღება ხდება კონკურსის ან/და გასაუბრების საფუძველზე. აქედან გამომდინარე აკადემიაში შექმნილია დოკუმენტი რომელიც არეგულირებს „თანამშრომელთა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესს“. წესი განსაზღვრავს: კონკურსის მიზნებს და ამოცანებს; კონკურსის პრინციპებს; კონკურსის ჩატარების პროცედურებს; მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმებს. წესის შესაბამისად საკონკურსო კომისია უფლებამოსილია კანდიდატ მასწავლებელს მოსთხოვოს გაკვეთილის ჩატარება, შესაბამისად შექმნილია გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებიც.<br>დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით აკადემიაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის მუშაობაც ეფუძნება აკადემიის შინაგანაწესით განსაზღვრულ წესებს და მითითებებს.<br>როგორც დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, დაწესებულებაში ამ წესის გამოყენების საჭიროება არ დამდგარა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • თანამშრომელთა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი;<br>• აკადემიის შინაგანაწესი;<br>• საკონკურსო კომისიის ოქმები;<br>• დისციპლინური კომიტეტის დებულება, ოქმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. აკადემია აწარმოებს ხელშეკრულებების რეესტრს. თანამშრომელთა ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექს და მოიცავს კოდექსის მიხედვით განსაზღვრულ ყველა არსებულ პირობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიაში შექმნილია სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც მუდმივად ზრუნავს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. აკადემიაში დანერგილია მხარდაჭერაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიული საჭიროების დადგენას არა ერთი, არამედ მრავალი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ურთიერთშემავსებელი მექანიზმით - თვითშეფასება, დოკუმენტაციის ანალიზი, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი, მოსწავლეთა შედეგები, დირექციის და კოლეგების უკუკავშირი, პროფესიულ დიალოგი - კოლეგების, მათ შორის კათედრის და შეფასების ჯგუფის უკუკავშირი. ამ აქტივობებისთვის შექმნილია შესაბამისი კითხვარების ფორმები.<br>ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცვნენ დოკუმენტაციას, რომლითაც დასტურდება მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები; კათედრის წევრების სამუშაო შეხვედრები, თემატურ გეგმებზე/თემატურ მატრიცებზე ერთობლივი მუშაობა, სტუდენტის კონსულტირება.<br>სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული ზრდის მექანიზმების გარდა, აკადემია თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, რომლებთანაც დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ გარედან შემოთავაზებულ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა, ტრენინგი, კონფერენცია და სხვ.<br>აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური მუდმივად ახდენს მასწავლებლის ინფორმირებას დაგეგმილი ტრენინგებისა თუ ღონისძიებების შესახებ და ეხმარება მას მიღებული გამოცდილების დანერგვაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე დასწრების ფურცლები;<br>• მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების რეფლექსია;<br>• გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების განრიგი;<br>• გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შემდგომ მასწავლებლების მიერ გაცემული წერილობითი უკუკავშირი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები;<br>• კათედრის ხელმძღვანელების სემესტრული ანგარიშები;<br>აკადემიის სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | აკადემიაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროზე მიუთითებს დაწესებულებაში განხორციელებული ყველა ის ღონისძიება, რომელიც მასწავლებლების პროფესიული განვითარებისკენაა მიმართული. დელიგირებულია უფლება მოვალეობები ყველა სტრუქტურულ ერთეულს შორის, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ახერხებენ გადასაჭრელი საკითხების მოგვარებას. სასკოლო საზოგადოების საჭიროებათა დასადგენად აკადემიაში მუდმივად ტარდება კვლევები: მშობელთა კმაყოფილების კვლევა; თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა. შექმნილია შესაბამისი კითხვარები. კვლევების მიზანია, უკუკავშირის მიღების გზით, აკადემიის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით არსებული გარემოს გაუმჯობესება. კვლევების შედეგები და შესაბამისი ანგარიშები წარედგინება დირექციას, რომლის წარმომადგენლებიც ერთად გეგმავენ პროცესების გაუმჯობესების გზებს.<br>აკადემიაში შექმნილია მშობელთა კლუბი, რომელიც ყველა კლასის თითო წარმომადგენლით არის დაკომპლექტებული. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კლუბი თანამშრომლობს ადმინისტრაციასთან მოსწავლეთა ინტერესების შესწავლისა და მიზნობრივი, მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმისათვის, შეიმუშავებს და აკადემიის ადმინისტრაციას წარუდგენს მოსაზრებებს სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.<br>აკადემიაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველი ორგანო - პარლამენტი, რომლის წევრებიც არიან აკადემიის საშუალო და საბაზო კლასის მოსწავლეები. თვითმმართველობის მიზანს წარმოადგენს, აკადემიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა, მოსწავლეებში აკადემიისადმი მიკუთვნებულობის გრძნობების გაძლიერება.<br>ყოველი ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში ყველა პირობაა შექმნილი უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. აკადემიის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური და დირექცია. ვიდეოკონტროლი მიმდინარეობს კვალიფიციური და გამოცდილი კადრების მიერ და პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება. აკადემიის დირექცია ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპის დაცვას. ყველა თანამშრომელსა თუ მოსწავლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დებულება;<br>• თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;<br>• მშობელთა კმაყოფილების კვლევის ანაგარიში;<br>ვებგვერდი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი

26.07.2020.

გვერდების რაოდენობა - 58



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ბ.ა.